პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 4 სექტემბერი, 1942 წ. № 210 (6526). ფასი 15 კაპ.

ყოველდღიური ყურადღება დამხმარე მეურნეობებს!

გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საწარმოებთან მოწყობილ დამხმარე მეურნეობათა მუშაობის სანიმუშოდ დაყენებას. მუშათა მომარაგების განყოფილებანი, რომლებსაც სერიოზული ამოცანები აკისრიათ საწარმოთა სასადილოების უზრუნველყოფაში ყოველივე იმით, რაც საჭიროა ნოყიერი, მრავალფეროვანი სადილების დასამზადებლად, დამხმარე მეურნეობებიდან სურსათის დამატებითს წყაროებს ღებულობენ. იქ, სადაც საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელები, ადგილობრივი ორგანიზაციები დაინტერესებული არიან და ყოველმხრივ ეხმარებიან დამხმარე მეურნეობათა მუშაობის სანიმუშოდ დაყენების საქმეს, **უხვ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს იღებენ** და ამ საწარმოთა **სასადილოებიც უზრუნველყოფილი არიან ბოსტნეულით,** მათ საკმაო რაოდენობით აქვთ კარტოფილი, ხახვი, ჭარხალი, კომბოსტო.

თბილისის მთელ რიგ საწარმოთა დამხმარე მეურნეობები კარგად არის მოწყობილი. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანას დამხმარე მეურნეობა აქვს 18,4 ჰექტარზე. ამ ფართობს სისტემატურად **რწყავენ,** შეაქვთ **მინერალური სასუქები,** უვლიან **აგრო-ტექნიკურ ღონისძიებათა ზუსტად** დაცვით, და უხვ მოსავალსაც იღებენ. დამხმარე მეურნეობის ეფექტიანობის ნათელსაყოფად საკმარისია ითქვას, რომ ქარხანა ახლა ყოველდღიურად თავისი სასადილოსათვის დამხმარე მეურნეობიდან 1 ტონა პომიდორს ღებულობს. 80 ცენტნერის ნაცვლად, აქ ჰექტარზე 110-120 ცენტნერ ხახვს აიღებენ. ქარხანას აგრეთვე აქვს მესაქონლეობის ფერმა, რომელშიც 30 დედა-ღორი ჰყავთ 245 სული ნამატით და 13 მეწველი ძროხა. მძიმე სამუშაოზე მყოფი მუშები ყოველდღიურად ღებულობენ რძეს. ქარხნის მუშათა მომარაგების განყოფილება უკვე შეუდგა ზრუნვას ზამთრისათვის კომბოსტოს წნილის ჩასადებად და ტომატის დასამზადებლად.

ასევე კარგად მოაწყვეს დამხმარე მეურნეობათა მუშაობა თბილისის ავტოსარემონტო, კალინინის სახელობის, ზეთსახდელი ქარხნების, წისქვილკომბინატის, „ცენტროლიტის" და მთელ რიგ სხვა საწარმოთა ხელმძღვანელებმა.

მაგრამ ზოგიერთი საწარმოს დირექტორი ნაკლებად არის დაინტერესებული თავისი ქარხნის დამხმარე მეურნეობით. ეს პირდაპირ ახდენს უარყოფით გავლენას ამ მეურნეობის მუშაობაზე. სათხილამურო ფაბრიკის (დირექტორი ამხ. ფაჩულია, აგრონომი ამხ. ქართველიშვილი) დამხმარე მეურნეობაში 3 ჰექტარის ნაცვლად საგაზაფხულოდ 1,5 ჰექტარი დასთესეს და ისიც უხარისხოდ. საწარმოს ხელმძღვანელის ყურადღების გარეშეა დარჩენილი თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის დამხმარე მეურნეობის ფართობი. ფაბრიკის დირექტორი ამხ. პარტოსიანი ყურადღებას არ აქცევს და არ ეხმარება დამხმარე მეურნეობას. მას ერთხელაც არ შეუვლია მეურნეობაში, მიუხედავად იმისა, რომ საწარმოს დირექტორი ვალდებულია **„იცოდეს დამხმარე მეურნეობის ყველა საჭიროება",** იგი განუწყვეტლივ უნდა **„ეხმარებოდეს მის მუშაკებს რჩევა-დარიგებითა და საქმით. ეს ელემენტარული მოვალეობაა საწარმოს ხელმძღვანელისა"** („პრავდა").

იმის გამო, რომ თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის ხელმძღვანელობა სათანადოდ არ ეხმარება დამხმარე მეურნეობას, იქ ნათესები მოუვლელია, ჰექტარზე აიღეს მხოლოდ 20 კილოგრამი პომიდორი, 30 კილოგრამი ჭარხალი, 15 კილოგრამი ხახვი. ეს არის და ეს! სასადილოს კი ბოსტნეული არა აქვს, მაშინ როცა ქარხანას სავსებით შეეძლო თავისი დამხმარე მეურნეობით უზრუნველეყო სასადილოს მოთხოვნილება ბოსტნეულზე. დროა ერთხელ და სამუდამოდ შევიგნოთ, რომ მარტოოდენ ცენტრალიზებული მომარაგების ხარჯზე ყოფნა არ შეიძლება. ჩვენს განკარგულებაში არის სურსათის დამატებითი რესურსების მნიშვნელოვანი წყარო—დამხმარე მეურნეობები და ეს წყარო უნარიანად, მოქნილად, მთელი შესაძლებლობით უნდა გამოვიყენოთ. პირველ რიგში ეს ეხება საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს.

ახლა უხვ მოსავალს იღებენ დამხმარე მეურნეობებში. მინდვრად **აუღებელი არ უნდა დაგვრჩეს** არც ერთი კილოგრამი ბოსტნეული. ამ საქმეში დამნაშავენი სათანადოდ უნდა დაისაჯონ. ის, ვინც თავისი დაუდევრობით გააფუჭებს აღებულ ბოსტნეულს, მინდვრად დასტოვებს და არ იზრუნებს სათანადო ადგილზე მისი გადაზიდვისათვის, დანაშაულს სჩადის და მას ეს დანაშაული არ ეპატიება.

ამასთან ერთად საჭიროა გვახსოვდეს, რომ აღებული ბოსტნეული უნარიანად გამოვიყენოთ. ზამთარი ახლოვდება. საჭიროა აქედანვე ვემზადოთ ზამთრისათვის, მოვიმარაგოთ ჭურჭლეული წნილის ჩასადებად და ტომატის დასამზადებლად.

საშემოდგომო თესვისათვის ბევრგან უკვე გაიშალა მუშაობა. მარტო თბილისის საწარმოთა დამხმარე მეურნეობებში საშემოდგომოდ 130 ჰექტარი დაითესება. მოწინავე დამხმარე მეურნეობები **საშემოდგომო თესვას უკვე შეუდგნენ.** ბევრგან იმარაგებენ **საუკეთესო თესლს.** ეს მუშაობა უნაკლოდ უნდა ჩატარდეს.

ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, ასევე სერიოზული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ **ინდივიდუალური მებოსტნეობის** შემდგომს განვითარებას.

მაქსიმალურად გამოვიყენოთ სურსათის დამატებითი რესურსების წყაროები—აი რა არის საჭირო. ეს კიდევ უფრო საუკეთესო პირობებს შეუქმნის ჩვენი საწარმოების მუშებს ომიანობის დროის ტემპებით იმუშაონ და მეტი დახმარება გაუწიონ გმირ წითელ არმიას, რათა მან დიდი **სტალინის** მხედართმთავრობით საბოლოოდ გაანადგუროს საზიზღარი გერმანელი ფაშისტი ოკუპანტები.

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით

მოქმედი არმია, 3 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით არა სწყდება გააფთრებული ბრძოლები შემომტევ მტერთან. გერმანელებმა ბრძოლაში გამოიყვანეს ეს-ეს არის ახლა მოსული რეზერვები. წინა ბრძოლებში შეთხელებული ჰიტლერელთა სატანკო კოლონები მნიშვნელოვნად შეივსნენ ახალი მანქანებით. საბჭოთა ნაწილები ზრდადი შეუპოვრობით უწევენ წინააღმდეგობას მტერს. ერთი ნაბიჯითაც კი არ დაუხევიათ უკან გვარდიის ნ ნაწილის მებრძოლებს, რომლის წინააღმდეგაც გერმანელებმა თავიანთი დარტყმა მიმართეს. მიუვალ ზღუდედ აქციეს გვარდიელებმა მაღლობი, რომელსაც ისინი იცავენ. მტრის ყველა იერიში მოგერიებულია, ამასთან მას დიდი ზარალი მოუვიდა.

სხვა უბანზე გერმანელთა ტანკები გაშლილი მწყობრით მოდიოდნენ ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ. სატანკო იერიშის დაწყების რამდენიმე წუთით ადრე თავდაცვის წინა კიდეს ბომბავდნენ „იუნკერსები" და ესროდნენ „მესერშმიტები". მტერი დარწმუნებული იყო, რომ მაღლობზე ცოცხალი არავინ დარჩენილა. ფაშისტები სასტიკად მოსტყუვდნენ ანგარიშში. 33 საბჭოთა მეომარმა ბრძოლა გაუმართა მტრის ჯავშნიანი მანქანების კოლონას. ჯავშანმტრეველები, გრანატმტყორცნელები და მსროლელები განსაკუთრებული შეუპოვრობით იცავდნენ თავიანთ ზღუდეს.

უთანასწორო ბრძოლა ყოველ წუთობით სულ უფრო სასტიკ ხასიათს იღებდა. ჯავშანმტრეველთა ტყვიებმა ცეცხლი წაუკიდეს მტრის რამდენიმე ტანკს. მანქანები ადგილზევე გაჩერდნენ. მაგრამ დანარჩენი ტანკები წინ მოიწევდნენ. ნამდვილ მეომართა რკინისებური სიმტკიცე და სიდინჯე გადაულახავ კედლად აღიმართა მტრის გზაზე. სანგრებიდან ისმოდა მეთოდური სროლა. მებრძოლები მანქანების სათვალთვალო ჭუჭრუტანებს ესროდნენ. დაზიანებულ ტანკთა რაცხვი სულ უფრო და უფრო მატულობდა. მაგრამ არაჩვეულებრივს ორთაბრძოლაში თხელდებოდნენ მამაცთა რიგები.

აი მწყობრიდან გამოვიდა ჯავშანმტრეველი, დაეცა კიდევ ერთი მებრძოლი, რომელიც მტრის ყუმბარის ნამსხვრევმა მოკლა. ტანკებმა მტრის კორიანტელი დააყენეს და სანგრებისაკენ წამოვიდნენ. მოტორთა გუგუნი, მუხლუხების ჩხარუნი, ქვემეხთა სროლა აყრუებდა მებრძოლებს. მაგრამ არც ერთ მათგანს არ შეშინებია, უკან არ დაუხევია. უმცროსი პოლიტხელი ევტიფეევი ტყვიის სეტყვაში მივიდა ტანკსაწინააღმდეგო თოფთან, რომლის გუნდიც მწყობრიდან გამოვიდა. მიზანსწორი სროლით ევტიფეევმა 6 ტყვიით მწყობრიდან გამოიყვანა მტრის 4 მანქანა.

33 საბჭოთა მეომარმა მოსპო და ცეცხლი წაუკიდა გერმანელთა 13 ტანკს, ხოლო მტრის დანარჩენი მანქანები უკუაქცია.

ნ. მარკოვსკი
დ. შჩუკინი

კრასნოდარის რაიონში

მოქმედი არმია, 2 სექტემბერი. კრასნოდარის სამხრეთით და დასავლეთით ჩვენი ნაწილები გააფთრებულ ბრძოლებს ეწევიან მტრის რიცხობრივად ჭარბი ძალების წინააღმდეგ. გერმანელებმა ზურგიდან რეზერვები მოიყვანეს და ცდილობენ, რადაც უნდა დაუჯდეთ, გაიჭრან კავკასიის შავი ზღვის სანაპიროსაკენ. ჩვენი ჯარები ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ ფაშისტთა დივიზიებს, შეუდრკად იბრძვიან ყოველი მაღლობისათვის, შეუპოვრად იცავენ გზებსა და მთის გადასასვლელებს.

მტერს დიდი ზარალი მოსდის. მთის ძირებში სამი დღის ბრძოლების მანძილზე ერთმა ჩვენმა ნაწილმა გასწყვიტა მრავალი ჰიტლერელი და მოსპო დიდძალი ტექნიკა. გერმანელებს სერიოზულ ზიანს აყენებს ჩვენი მძიმე ნაღმსატყორცნების ცეცხლი. გვარდიის ნ ნაწილმა რამდენიმე დღეში დასწვა და დაზიანა 26 ტანკი, 8 ჯავშნიანი მანქანა, 60 სატვირთო მანქანა ჯარებიანად და საომარ მასალიანად და მოსპო მტრის დიდძალი ქვეითი ჯარი.

სხვა უბანზე მოწინააღმდეგემ სცადა გაერღვია ჩვენი თავდაცვის ხაზი და შეტევაზე გადმოიყვანა რუმინელთა მე-5 საკავალერიო დივიზია. ჩვენმა ნაწილებმა რუმინელთა ყველა იერიში მოიგერიეს, შემდეგ კონტრიერიშზე გადავიდნენ და გაანადგურეს დივიზია. რუმინელებმა ნახევრამდე პირადი შემადგენლობა და დიდძალი ტექნიკა დაჰკარგეს. დივიზია იმდენად დაზარალდა, რომ გერმანელთა სარდლობა იძულებული გახდა ბრძოლიდან გაეყვანა იგი.

ამ რაიონში მედგარი ბრძოლები გრძელდება.

მაკარენკო

(„პრავდა", 3 სექტემბერი).
(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა 1 ოქტომბერს დაიწყება

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ უმაღლეს სკოლის საქმეთა კომიტეტის ბრძანებით სწავლის დაწყება უმაღლეს სასწავლებლებში 1942-43 სასწავლო წელს პირველი ოქტომბრისთვის არის დანიშნული. ერთი თვით არის გაგრძელებული აგრეთვე ვადა უმაღლეს სასწავლებლებში ახლადშემსვლელთა განცხადებების მიღებისა, შესასვლელი გამოცდებისა და უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვისა. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

3 სექტემბრის დილის ცნობა

2 სექტემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ გააფთრებულ ბრძოლებს მტერთან სტალინგრადის ჩრდილოეთ-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით, აგრეთვე ნოვოროსიისკის ჩრდილოეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში. სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის ჩრდილოეთ - დასავლეთით ნ შენაერთის მებრძოლებმა მტერთან გააფთრებულ ბრძოლაში მოსპეს გერმანელთა 11 ტანკი, თვითმავალი ქვემეხი და 8 ტყვიამფრქვევი.

კლეტსკაიას რაიონში გერმანელთა ქვეითი ჯარის პოლკმა 38 ტანკის დახმარებით იერიში მოიტანა იმ უბანზე, რომელსაც ერთი ჩვენი ნაწილი იცავდა. გერმანელთა იერიში მოგერიებულ იქნა მტრისათვის დიდი ზარალის მიყენებით. დაზიანებულია 6 ტანკი, გაჟლეტილია 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოყვანილია ტყვეები. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს გერმანელთა 8 ტანკი და ერთ ასეულზე მეტი ქვეითი ჯარი. ჩვენმა მებრძოლებმა ქვეითი ჯარის იარაღის ცეცხლით ჩამოაგდეს გერმანელთა 2 თვითმფრინავი.

* * *

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები დაძაბულ თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის დიდ ძალებთან, რომლებიც სოლივით შემოიჭრნენ ჩვენს თავდაცვაში. 6 ნაწილი დღის განმავლობაში აკავებდა გერმანელთა ტანკებსა და ქვეითს ჯარს, რომლებიც ერთ დასახლებულ პუნქტს უტევდნენ. ჰიტლერელებმა ოთხი იერიში მოიტანეს, მაგრამ მათ ყოველთვის ხვდებოდნენ არტილერიისა და ნაღმსატყორცნების მძლავრი ცეცხლით და უკუაგდებდნენ. ბრძოლის შედეგად მოსპობილია მტრის 14 ტანკი და ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. სხვა უბანზე ჩვენი ჯარები ახალ პოზიციებზე გადმოვიდნენ.

* * *

ნოვოროსიისკის ჩრდილოეთ - დასავლეთით ჩვენი ჯარები თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდნენ მტერთან. ლეიტენანტ პიატიგორსკის ნაღმსატყორცნელებმა მოსპეს გერმანელთა ორი ოცეული ქვეითი ჯარი. 6 ნაწილის მებრძოლებმა მტრის იერიში მოიგერიეს და ერთ ასეულამდე ჰიტლერელი გაჟლიტეს. ამ ბრძოლაში წითელარმიელებმა ბუტენკომ, სტატოვამ, ზორინმა და ბურსაკოვმა ხიშტითა და გრანატებით დახოცეს 50-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

მოზდოკის რაიონში ჩვენი ნაწილები შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდნენ წყლის ზღუდეებზე გადასასვლელებისათვის.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ორი დღის საბრძოლო მოქმედების განმავლობაში მზვერავი ჯგუფებისა და სნაიპერების მიერ, აგრეთვე არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით მოსპობილია მტრის სამი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და 120 ჯარისკაცი და ოფიცერი.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 18 თვითმფრინავი და დააზიანეს 3 თვითმფრინავი. გარდა ამისა, ჩვენი საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მტრის 3 თვითმფრინავი.

* * *

ქვემოთ ვაქვეყნებთ ჩანაწერს სმოლენსკელ პარტიზანთა იმ რაზმის აგვისტოს უკანასკნელი დღეების მოქმედების შესახებ, რომლის მეთაურიც არის ამხ. გ.:

„ამფეთქებელთა ჯგუფმა ამხ. პ-ს მეთაურობით ააფეთქა 40 მეტრი რკინიგზის ლიანდაგი. მოსპობილია 80 მეტრი კავშირგაბმულობის ხაზი.

პარტიზანებმა ამხ. შ-ს მეთაურობით მოსპეს მტრის 4 ავტომანქანა. მოკლულია 30 გერმანელი.

პარტიზანებმა ააფეთქეს სარკინიგზო ეშელონი. დამსხვრეულია ორთქლმავალი და 5 ვაგონი.

პარტიზანთა ჯგუფმა ამხ. მ-ს მეთაურობით შარაგზაზე სროლა აუტეხა მტრის ავტომანქანებს ქვეით ჯარიანად. მოკლულია 50-მდე ჰიტლერელი".

* * *

კრასნოდარის სამხრეთით ჩამოგდებულ გერმანელთა თვითმფრინავ „ჰაინკელ—111-ის" ტყვე მეთაურმა, ობერ-ლეიტენანტმა ფრიდრიხ ფოგელმა განაცხადა: „ოფიცერთა წრეებში არა სჯერათ გერმანიის სარდლობისა და გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობები ჩვენი ავიაციის ზარალის შესახებ აღმოსავლეთის ფრონტზე. ამ ცნობებს სინამდვილესთან საერთო არა აქვს რა. ვაი, ვაი, მაგრამ ჩვენ კი კარგად ვიცით, რომ გერმანიის ავიაციას უმაგალითო ზარალი მოსდის. ბევრმა ესკადრამ რუს მფრინავთა წინააღმდეგ ბრძოლებში და არტილერიის საზენიტო ცეცხლით თავისი თვითმფრინავების 75 პროცენტი დაკარგა. ჩვენ არაბრძოლითი ზარალიც დიდი გვაქვს. გერმანიის საჰაერო ფლოტის პირადი შემადგენლობა სისხლისაგან იცლება. ომის განმავლობაში მან სულ მცირე 60 ათასი კაცი დაჰკარგა. მფრინავ-გამანადგურებელთა შორის ფართოდ არის გავრცელებული შეთანხმება. ერთნი ადასტურებენ მეორეთა არარსებულ წარმატებებს. ისინი ჰაერში ისვრიან და შემდეგ, აეროდრომზე დაბრუნებისას, თავიანთ საჰაერო გამარჯვებებს იკვეხნიან".

* * *

მოკლულ გერმანელ ჯარისკაცს ვილჰელმ ბოკს უპოვნეს ჰემნიციდან დედის მიერ მოწერილი წერილი. წერილში ნათქვამია: „ბევრი რუსი ქალი და ქალიშვილი მუშაობს „ასტრა ვერკეს" ფაბრიკებში. მათ დღეში ამუშავებენ 14 საათს და უფრო მეტ ხანსაც. რა თქმა უნდა, არავითარ ხელფასს ისინი არ იღებენ. სამუშაოზე და სამუშაოდან ისინი ბადრაგით დადიან. რუსები ისე მოქანცულნი არიან, რომ პირდაპირ ძირს ეცემიან. მათ ხშირად ხვდებათ მცველთა შოლტი. მაგრამ მათ უფლება არა აქვთ იჩივლონ ცემისა და ცუდი საჭმლის გამო. ჩემმა მეზობელმა ამ დღეებში მუშა ქალი შეიძინა. მან სალაროში შეიტანა ფული და შემდეგ საშუალება მისცეს თავისი გემოვნების მიხედვით აერჩია მოსამსახურე რუსეთიდან ახლად მორეკილ ქალთა შორის".

* * *

კუნძულ კრეტაზე ბერძენმა პატრიოტებმა გაბედული თავდასხმა მოახდინეს გერმანელთა აეროდრომზე, რომელიც არმიროს ყურის სანაპიროზე მდებარეობს. მოსპობილია ორი თვითმფრინავი და 1 ცისტერნი საწვავიანად. აგვისტოში გერმანელთა ჯარის სადესანტო სწავლების დროს უკვალოდ გაჰქრა პარაშუტისტთა ჯგუფი 26 კაცის რაოდენობით. რვა დღის შემდეგ მთებში იპოვნეს 17 გერმანელი ჯარისკაცის გვამი ამ ჯგუფის შემადგენლობიდან.

3 სექტემბრის საღამოს ცნობა

3 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები სასტიკ ბრძოლებს ეწეოდნენ მტერთან სტალინგრადის ჩრდილოეთ-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით, აგრეთვე ნოვოროსიისკის ჩრდილოეთ-დასავლეთით. სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

2 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილების მიერ ფრონტის სხვადასხვა უბნებზე მოსპობილია ან დაზიანებულია გერმანელთა 15-მდე ტანკი და ჯავშნიანი მანქანა, 100-ზე მეტი ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩახშობილია საველე და საზენიტო არტილერიის 10 ბატარიის ცეცხლი, აფეთქებულია 6 საწყობი საომარი მასალა, გაფანტულია და ნაწილობრივ მოსპობილია მტრის ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილოეთ-დასავლეთით გრძელდებოდა შეუპოვარი ბრძოლები. იმ უბანზე, რომელსაც 6 შენაერთი იცავს, ჰიტლერელები იერიშზე გადმოვიდნენ. მტრის შემომტევ ტანკებსა და ქვეითს ჯარს საბჭოთა არტილერიისა და ჯავშანმტრეველთა ცეცხლით შეხვდნენ. შემდეგ ბრძოლაში ჩაებნენ ჩვენი ტანკები და გერმანელები თავდაპირველ პოზიციებზე განდევნეს. ბრძოლის ველზე დარჩნენ მტრის 9 დაზიანებული და დამწვარი ტანკი და 400-მდე მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი. ორი საათის შემდეგ მტერმა ახალი იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე და შეავიწროვა ჩვენი ნაწილები. სხვა უბანზე მტერი საიერიშოდ ემზადებოდა და ხევში თავი მოუყარა ტანკებისა და ქვეითი ჯარის მნიშვნელოვან რაოდენობას. ჩვენმა ნაწილებმა გერმანელებს დაასწრეს. ჩატარებულ იქნა ჩვენი არტილერიის რამდენიმე ცეცხლითი თავდასხმა მტრის დაჯგუფებაზე, რომელთა შედეგად გერმანელებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

კლეტსკაიას რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მტრის რამდენიმე კონტრიერიში მოიგერიეს.

* * *

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით მთელი დღის განმავლობაში ჩვენი ჯარები დაძაბულ ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის ტანკებსა და ქვეითს ჯართან, რომლებიც ჩვენი თავდაცვის სიღრმეში შემოიჭრნენ. ერთ-ერთ უბანზე ნ ნაწილის მებრძოლებმა მტრის სამი სატანკო იერიში მოიგერიეს. არტილერისტებმა და ჯავშანმტრეველებმა დააზიანეს გერმანელთა 8 და დასწვეს 5 ტანკი.

* * *

ნოვოროსიისკის ჩრდილოეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდნენ. დასახლებულ პუნქტ ნ-ის მახლობლად, ჰაერიდან დაბომბვისა და საარტილერიო სროლის შემდეგ, მტრის ტანკებმა და მოტოქვეითმა ჯარმა მოახერხეს სოლივით შემოჭრილიყვნენ ჩვენს თავდაცვაში. შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ჩვენი ნაწილი ახალ პოზიციებზე გადმოვიდა. სხვა უბნებზე მტრის ყველა იერიში მოგერიებულ იქნა, ამასთან მას დიდი ზარალი მიაყენეს. მოსპობილია გერმანელთა 11 ტანკი, 9 ქვემეხი, 25 ავტომანქანა და 1 ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

მოზდოკის რაიონში გრძელდებოდა გააფთრებული ბრძოლები გადასასვლელებისათვის.

ჩვენი ავიაგამანადგურებლები ჰაერში შეხვდნენ 12 „მესერშმიტს". გაჩაღებულ ბრძოლაში საბჭოთა მფრინავებმა გერმანელთა 10 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

* * *

გერმანელთა 56-ე ქვეითი დივიზიის 234-ე პოლკის ტყვე ჯარისკაცმა ვალტერ ჰერლახმა განაცხადა: „ამა წლის ივლისში მე სამხედრო ტყვეთა ბანაკში ვიყავი ქალაქ კარაჩევში. ჩვენ იქ ტყვეთა პარტია მივიყვანეთ. ბანაკი ხევში მდებარეობს. ეკლიან მავთულებს გადაღმა იმყოფება რამდენიმე ასეული რუსი ტყვე წითელარმიელი და სამოქალაქო პირი, მათს რიცხვში ქალები. დატყვევებულნი გზებს აშენებენ. არ ვიცი, რას აძლევენ მათ საზრდოდ, მაგრამ დაპატიმრებულთა უმრავლესობა ფეხებს ძლივს დაათრევს". შემდეგ ტყვემ ილაპარაკა გერმანელების მიერ ტყვე წითელარმიელების დახვრეტის მთელ რიგ შემთხვევებზე. „ამას წინათ ჩვენმა პოლკმა ტყვედ წამოიყვანა 20 რუსი. დაკითხვაზე მათ სცემეს, შემდეგ დახვრიტეს. ჩვენი პოლკის ყოფილი მეთაური, პოლკოვნიკი კიზიგი ერთხელ ტყვეებს დაჰკითხავდა და, პასუხით რომ ვერ დაკმაყოფილდა, 6 ტყვე წითელარმიელი ტყვიით მოჰკლა".

* * *

ვოროშილოვგრადის ოლქის სოფელ დარიევკაში გერმანელთა სადამსჯელო რაზმმა შეიპყრო 13 წლის ბიჭი კოლია ნიკიფორენკო. გერმანელმა ოფიცერმა მას მოსთხოვა, პარტიზანთა ადგილსამყოფელი გვიჩვენეო. ბავშვმა უპასუხა, არაფერი არ ვიციო. ჰიტლერელებმა მხეცურად სცემეს ბავშვს, თითები დაუმტვრიეს და ყური მოსჭრეს. კოლია ნიკიფორენკოსაგან ერთ სიტყვასაც რომ ვერ ეღირსნენ, ფაშისტმა მხეცებმა იგი დახვრიტეს.

ჩრდილოეთ კავკასიაში

40 გვარდიელი ნაღმტყორცნელის საგმირო საქმე

მოქმედი არმია, 3 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გვარდიის სანაღმტყორცნო ბატარიას ეკავა თავდაცვის უბანი, რომელიც გერმანელებმა გასარღვევად აირჩიეს. გზაზე გამოჩნდა 6 ავტომანქანა ადამიანებიანად, რომელთაც წითელარმიული ფორმა ეცვათ. ბატარიის მეთაურმა მათს შესახვედრად ორი ცხენოსანი გაგზავნა. მიუახლოვდნენ თუ არა მანქანებს ცხენოსნები, ისინი დახოცილ იქნენ.

— ცეცხლი პროვოკატორ ფაშისტებს! — გაისმა ბრძანება ბატარიაში.

ნაღმსატყორცნთა რამდენიმე ზალპის შემდეგ მანქანები გადაცმულ გერმანელ მეავტომატეებიანად ჰაერში ავარდა. ფაშისტებმა, როცა დაინახეს, რომ პროვოკაცია არ მოხერხდა, ბატარიას 15 ტანკი მიუსიეს. ერთდროულად ტყიდან გერმანელებმა არტილერიის, ნაღმსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევების ძლიერი ცეცხლი გააჩაღეს.

დაიწყო უთანასწორო ბრძოლა. გვარდიელები მამაცად შეხვდნენ მტერს. ნაღმსატყორცნთა მარჯვე ცეცხლით ისინი სპობდნენ ტანკებზე მჯდომარე მეავტომატეებს, მაგრამ ტანკები წინსვლას განაგრძობდნენ. ერთი მათგანი ზედ მიადგა სანგარს, რომელშიც უფროსი სერჟანტი პრიხოდკო იყო, და გასრისა მისი ნაღმსატყორცნი.

მამაცმა კაზაკმა, რომელმაც უკვე მოსპო 10-ზე მეტი მეავტომატე, ბრძოლა გაუმართა ტანკს. საწვავსითხიანმა ბოთლმა ცეცხლი წაუკიდა ფაშისტთა ჯავშნიან მანქანას, მაგრამ ამ დროს იქ მეორე მანქანა მოვიდა. პრიხოდკომ ხელი დაავლო რამდენიმე ბოთლს და გაბედულად წაცოცდა ტანკის შესახვედრად. მან უკვე აღმართა ბოთლიანი ხელი, მაგრამ გვერდიდან მესამე ტანკი დაეძგერა და გმირი მის მუხლუხებში დაიღუპა.

— არც ერთი ნაბიჯი უკან, კაზაკებო! — გაისმა თხრილებში მეთაურის ბრძანება, რაც ყველა მებრძოლმა გაიმეორა.

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები. იგი დაეცა ნაღმსატყორცნთან, მტრის ყუმბარის ნამსხვრევით მოკლული.

— არც ერთი ნაბიჯი უკან!—ფიცი დასდეს კაზაკმა ნაღმტყორცნელებმა და განაგრძობდნენ ზღუდის დაცვას. სერჟანტ ზინენკოს გუნდი ისროდა, სანამ ტანკის მუხლუხებქვეშ არ დაიღუპა. სერჟანტმა სილკომ მოასწრო მტრის ორი ტანკისათვის ცეცხლის წაკიდება და უკვე მესამეს ეპარებოდა, როცა მას თავს დაესხნენ მოტოციკლისტები. კაზაკებმა კრივონოსმა და სავოსინმა დაინახეს, თუ როგორ დაეცა იგი დასისხლიანებული, ხელი სტაცეს გრანატებს და მოტოციკლისტებს დააყარეს. მათ შური იძიეს თავიანთი მეგობრის მოკვლისათვის და თვითონაც გმირთა სიკვდილით დაიღუპნენ.

სულ უფრო ნაკლები ხდებოდა ერთ მუჭა მამაცთა რიცხვი, მაგრამ მათი სიმტკიცის გატეხა არაფერს შეეძლო. კაზაკებმა ხელი დაავლეს 4-კილოგრამიან ნაღმებს და სანგრებიდან დაუწყეს ტყორცნა მოახლოვებულ ტანკებს, მოტოციკლისტებსა და მეავტომატეებს. იმ ჰიტლერელებს, რომლებიც სანგრებში შეიჭრნენ, ხოცავდნენ რევოლვერებით, ხვრეტდნენ ხიშტებით და პირდაპირ ხელით ახრჩობდნენ.

საათნახევარზე მეტ ხანს გასტანა 40 გმირი ნაღმტყორცნელის ბრძოლამ მტრის ტანკებსა და ქვეით ჯართან. ყველა ისინი დაიხოცნენ, მაგრამ ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევიათ უკან. გმირებმა 250-ზე მეტი ჰიტლერელი გასწყვიტეს. სანამ ნაღმტყორცნელებს ზღუდე ეკავათ, ჩვენმა ნაწილმა მოასწრო თავისი რიგების გადაჯგუფება და მტერს სერიოზული ზარალი მიაყენა.

სახელი და დიდება ჩვენს გმირებს!

ი. ლაპონოგოვი

სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის!

№ ნაწილი ბრძოლის ველას ახალ ზღუდეებს იბარებდა. ჰიტლერელთა ურდოები გაცოფებით ცდილობდნენ შეერყიათ ჩვენი რიგები, მაგრამ ისინი შეხვდნენ ჩვენს რკინისებურ ნებისყოფას, სიმტკიცეს, სამშობლოსადმი უსაზღვრო თავდადებისა და მტრისადმი ულმობელი შურისძიების გრძნობას. ბრძოლაში ჩაბმის პირველი დღიდანვე მტერი ვაიძულეთ გადასულიყო თავდაცვაზე და მალე უკუვაქციეთ კიდეც. ჩვენი № ნაწილის ორი დღის გააფთრებული ბრძოლის შედეგად ჰიტლერელ კაციჭამიებს დავატოვებინეთ ექვსი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი და რკინიგზის კვანძი, რითაც ჩვენი სარდლობის ქება დავიმსახურეთ.

ჩვენმა პირველმა წარმატებებმა და დამსახურებულმა შექებამ კიდევ უფრო აღგვაფრთოვანა საგმირო საქმეებისათვის — სამშობლოსათვის, ღირსებისათვის, თავისუფლებისათვის.

ჩვენ აღსავსენი ვართ რწმენით, რომ გავიმარჯვებთ. ჩვენ მტკიცენი ვართ ჩვენი გადაწყვეტილებით — არც ერთი ნაბიჯით არ დავიხიოთ უკან. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყანა თვალუწვდენია. მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ უნდა შევაჩეროთ მტერი, უკუვაქციოთ და მოვსპოთ იგი საბოლოოდ. ამ რწმენით ჩვენ ვცოცხლობთ ბრძოლის ველზე. ეს რწმენა გვიასკეცებს ძლიერებას.

ჩვენ ვიცით, რომ გერმანელი მხეცი მძვინვარეა, როდესაც ის წინ მოძვრება, მაგრამ საკმარისია დაუპირისპირო მას სიმედგრე, გაბედული კვეთება, სულის სიმტკიცე და მაშინ იგი ფრთხალია, ჩვენ გმირულ კვეთებას იგი ვეღარ გაუძლებს. ამას მოწმობენ ჩვენი მებრძოლების, მეთაურებისა და პოლიტმუშაკების გმირული ბრძოლის მრავალრიცხოვანი ეპიზოდები. მაგალითად: № ქვეგანაყოფი მოხვდა მტრის მასიურებულ ცეცხლქვეშ, საჭირო იყო სისწრაფე, გაბედული გადაწყვეტილების მიღება, მტრის პოზიციებზე მედგარი იერიშის მიტანა. დრო დაყოვნებას არ ითმენდა, და აი გოლიათური ძალით წამოდგა პოლიტხელი შუბითიძე. თუმცა იგი მძიმედ დაჭრილი იყო, მაგრამ ყველაზე მწვავე ჟამს გამარჯვების მოწოდებად მოისმა ბრძოლის ველზე მისი ძახილი: „წინ, — სამშობლოსათვის, სტალინისათვის!" და ქვეგანაყოფი ეკვეთა მტერს ისეთი ძალით, რომ ფრიცებმა მოჰკურცხლეს. ქვეგანაყოფმა საბრძოლო დავალება პირნათლად შეასრულა.

გმირობის უბადლო ნიმუშები გვიჩვენა ამხ. ბერიძის ქვეგანაყოფმა, როდესაც იგი ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის ასაღებად ჰიტლერელთა სიმაგრეებს უტევდა. პირადად ამხ. ბერიძე ორჯერ დაიჭრა ბრძოლის ველზე, მაგრამ ბოლომდე შეინარჩუნა წითელი არმიის მეთაურის თვისებები და წაიყვანა თავისი განაყოფის მებრძოლები გამარჯვებისაკენ. სისხლისაგან იცლებოდა ამხ. ბერიძე, მაგრამ ბრძოლის ველს თავს არ ანებებდა. როდესაც ის გამოჰყავდათ ბრძოლის ველიდან, მან მიმართა კომისარს: — სულერთია, რამდენიმე დღეში დავბრუნდები ჰოსპიტალიდან და ჯავრს ვიყრი ველურებზეო.

№ დასახლებულ პუნქტზე იერიშის მიტანისას ჩვენი ქვეგანაყოფის მოქმედებას ხელს უშლიდა მტრის მძიმე ტყვიამფრქვევი, მაგრამ აქ თავი გამოიჩინა სერჟანტმა ნაკაშიძემ. მან ზუსტი ცეცხლით მოსპო მტრის ტყვიამფრქვევის მთელი გუნდი, ამით გზა გაუკაფა თავის ნაწილს ხელთ ეგდო მტრის გამაგრებული ზღუდე. მეორე ბრძოლაში ამხ. ნაკაშიძე დაიჭრა, მოხვდა მტრის გარემოცვაში, მაგრამ არ დაიბნა. ზუსტი ცეცხლის საშუალებით სერჟანტმა, მიუხედავად მძიმე ჭრილობისა, გზა გამოიკაფა გარემოცვიდან თავისი ქვეგანაყოფისაკენ.

ჩვენი მებრძოლები და მეთაურები ამაყობენ უფროს ლეიტენანტ პირმისაშვილის ქვეგანაყოფის სიმამაცით. ერთ-ერთ ბრძოლაში პირმისაშვილის ქვეგანაყოფის არტილერიის ზუსტმა ცეცხლმა ჩაჰქოლა მტრის ათასეულის დასაყრდენი წერტი. შემდეგ ქვეგანაყოფმა ცეცხლი გადაიტანა მტრის ზურგში, გზა გადაუღობა მტრის ათასეულის რეზერვებს მოწინავე პოზიციისაკენ, ამგვარად საშუალება მისცა ჩვენს ქვეითებს სწრაფი ტემპით განევითარებინათ იერიში და ხელიდან გამოეგლიჯათ მტრისათვის კიდევ ერთი დასახლებული პუნქტი.

ბატარიამ, რომლის მეთაურად ამხ. მაჩაბელია, ქვემეხების საფლანგო ცეცხლის საშუალებით მტრის ცეცხლისაგან დაიფარა № პუნქტის ხელში ჩასაგდებად იერიშზე გადასული ერთ-ერთი ჩვენი მსროლელი ნაწილი, მიზანსწორი ცეცხლით გაანადგურა მტრის ორი ტანკი და ერთი ჯავშნიანი მანქანა, ჩაახშო მტრის ბატარიის ცეცხლი და ამგვარად ხელი შეუწყო მსროლელ ქვეგანაყოფს დასახლებული პუნქტიდან ჰიტლერელთა ურდოების განდევნაში.

ყველა მებრძოლის დამახასიათებელია მებრძოლ ვასილ დიმიტრის-ძე სტეფნაძის საბრძოლო წარმატება. მან ბრძოლის პირველ დღესვე მოსპო რამდენიმე ფრიცი. ბრძოლაში ორჯერ დაიჭრა. სანიტრებმა იგი მიიყვანეს სანიტარულ პუნქტში, ჭრილობა შეუხვიეს, ხოლო როდესაც საევაკუაციოდ მოიკითხეს, იგი იქ აღარ აღმოჩნდა, კვლავ ბრძოლის ველზე წასულიყო. ამხ. სტეფნაძე, სამშობლოს ღირსებისა და სახელისათვის თავდადებული მებრძოლი, მიღებულია საქ. კ. პ. (ბ) რიგებში. ამხ. სტეფნაძესთანა მებრძოლები ჩვენთან ბევრია. ბრძოლის ორი დღის განმავლობაში პარტიულმა კომისიამ საქ. კ. პ. (ბ) რიგებში ბევრი თავდადებული მებრძოლი მიიღო. განცხადებების შემოტანა კვლავ გრძელდება. „მინდა ბრძოლაში კომუნისტად წავიდე," — სწერს მაიორი გეთია თავის განცხადებაში. იგი სიტყვას საქმით ამართლებს. მან ბრძოლის ველზე უშიშარი და გამჭრიახი მეთაურის სახელი მოიხვეჭა.

— არც ერთი ნაბიჯით უკან არ დავიხევ. სამშობლოს დიდებისათვის ჩემი სისხლის არც ერთ წვეთს არ დავზოგავ, — სწერს თავის განცხადებაში ლეიტენანტი ხეცურიანი.

მტრის განადგურებისათვის შეტევითი ალტყინების ასეთი მაგალითებით ვუპასუხებთ ჩვენ, მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები, ამიერ-კავკასიის ხალხთა ანტიფაშისტური მიტინგის მოწოდებას და პირობას ვიძლევით, რომ სამამულო ომის ფრონტზე გმირულად ვიბრძოლებთ.

— არც ერთი ნაბიჯი უკან! სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს! წინ ახალი გამარჯვებისაკენ! — ასეთია ჩვენი საბრძოლო ლოზუნგები, და კვლავ ვარწმუნებთ პარტიასა და ხელისუფლებას, დიდ **სტალინს,** მთელ ჩვენს საბჭოთა ხალხს, რომ ჩვენ სისხლით, ხორცით, მთელი არსებით ხალხის შვილები ვართ, სამშობლოს ვეკუთვნით და სამშობლოს მომავლისათვის, მისი ღირსებისა და დიდებისათვის, მისი ბედნიერებისათვის მზად ვართ თავი გავწიროთ.

კ. ა. სოხაძე

მოქმედი არმია
სამხრეთი.

მოხერხებული მებრძოლი ტანკზე უფრო ძლიერია

წინა კიდეს გერმანელთა ტანკების კოლონა უახლოვდებოდა. მოხერხებული, კარგად მოწყობილი პატარა სანგრიდან ამოხტა და მოკუზული მანქანების შესახვედრად წაცოცდა წითელარმიელი ალექსანდრე გნატენკო. მან თან წაიღო ორი კონა გრანატი და რამდენიმე საწვავსითხიანი ბოთლი.

ორმოსთან გნატენკო შეჩერდა. ტანკები სულ ბევრი 15 მეტრის მანძილზე იყვნენ. მან ოდნავ წამოიწია და მთელი ძალით სტყორცნა გრანატები მუხლუხის ქვეშ. მოხდა აფეთქება. მრისხანე, თითქოს ყოვლისშემძლე ტანკი უმწეოდ დატრიალდა ადგილზე. წითელარმიელი მეორე მანქანას მიუბრუნდა. ახლა საწვავსითხიანი ბოთლებით მოქმედებდა. პირველმა დიდი ზიანი ვერ მიაყენა ტანკს, სამაგიეროდ მეორე ბოთლი სამოტორო ჯგუფს მოხვდა, და ერთი წამის შემდეგ მანქანის ნაცრისფერ კორპუსს ცეცხლის ალი მოედო.

ორივე ტანკის ეკიპაჟებმა ლუკები ახსნეს და სცადეს გაქცევით ეშველნათ თავისათვის. ისინი ჩვენმა ქვეითებმა დაცხრილეს.

ფრონტელებმა კარგად იციან — მოხერხებული მებრძოლი ტანკზე უფრო ძლიერია. მაღლობისაკენ მტრის მანქანები მოდიოდნენ, მათ კი, როგორც ყოველთვის, ქვეითი ჯარი მოჰყვებოდა. სწრაფად ამოქმედდნენ ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები. ორი ტანკი მებრძოლთა თვალის წინ უფორმო ნამსხვრევებად იქცა, ორი სხვა დაზიანდა. შვიდმა მანქანამ მაინც მოახერხა გადამლობი ცეცხლის გარღვევა და სანგრებთან მოსვლა.

წითელარმიელები შეჯავშნულ მტერს გრანატებითა და საწვავსითხიანი ბოთლებით შეხვდნენ. წინა ტანკს ალი მოედო. ორმა მარჯვედ ნასროლმა გრანატის კონამ კოშკურა მოუნგრია კიდევ ერთ მანქანას, მაგრამ დარჩენილმა ხუთმა ტანკმა თავისი კორპუსებით პირველი ხაზის სანგრები გადმოთელა. ბრძოლაში ჩაებნენ უმცროს ლეიტენანტ არაყიშვილის მებრძოლები, რომლებიც მეორე ხაზის სანგრებში იყვნენ.

მებრძოლებმა აამოქმედეს ტანკსაწინააღმდეგო თოფები, გრანატები, საწვავსითხიანი ბოთლები, გარემოების მიხედვით—რაც უფრო მოხერხებული და საიმედო იყო. გერმანელებმა სამი ტანკი კიდევ დაჰკარგეს.

შეიძლება ითქვას, ამით დამთავრდა საბჭოთა ქვეითების ბრძოლა ჰიტლერელთა ტანკებთან. ორმა გადარჩენილმა მანქანამ სრული სისწრაფით უკან მოჰკურცხლა. ამრიგად, მოხერხებულმა და მტკიცე მებრძოლებმა 7 ტანკი მოსპეს და 2 დააზიანეს (ისინი ღამით წამოიღეს ჩვენმა ტანკისტებმა). გერმანელებმა მოკლულთა სახით დაჰკარგეს 68 კაცი, ჩვენ დავკარგეთ 5 კაცი მოკლულთა და 7 დაჭრილთა სახით.

ჯავშანმტრეველთა ვიწრო და მიხვეულ-მოხვეულ სანგარში ორ იერიშს შუა ხანმოკლე შესვენების დროს ლეიტენანტმა ბერიძემ გვიამბო:

— გერმანელთა ტანკებთან პირველ ბრძოლაშივე ვიგრძენი ჩემი უპირატესობა მტერზე. ჩვენ ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ და კარგად შენიღბულ ხვრელში ვისხედით. ასეთ ხვრელზე ტანკს მუხლუხით სიგრძე-სიგანეზეც რომ გადაევლო, სულერთია ვერავითარ ზიანს ვერ მოგვაყენებდა.

მე კი მაინც ვღელავ. საკუთარი გულის ცემაც კი მესმის, თითქოს წამებს ითვლისო. მე ორი ტანკსაწინააღმდეგო გრანატი და საწვავსითხიანი ბოთლი მაქვს. რაც უფრო ახლოვდება ტანკი, მით უფრო მტკიცე და სასტიკი ვხდები. მხოლოდ ერთი რამ მაფიქრებს—არ ავაცდინო.

ტანკი 18-20 მეტრის მანძილზე იყო, როდესაც გრანატი ვტყორცნე. კვამლში დავინახე, რომ მარჯვენა მუხლუხის ერთი ბოლო მიწაზე დაეცა, მეორე კი უმწეოდ ჩამოეკიდა წამყვან თვალს. გერმანელებმა ტყვიამფრქვევის უწესრიგო სროლა ასტეხეს, ალბათ საკუთარი გულის დასამშვიდებლად. აუღელვებლად ვტყორცნე საწვავსითხიანი ბოთლი სამზერში—ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო ადგილას. დაზიანებული და ცეცხლმოკიდებული ტანკის ეკიპაჟი ტყვედ დაგვნებდა. ორი სხვა მანქანა უკან გაბრუნდა,—დაამთავრა ლეიტენანტმა.

ი. დუბინსკი

მოქმედი არმია
სამხრეთი.

ფინეთის ჯარების ზურგში

კარელიის ფრონტი, 2 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ხშირ ტყეებში მიიწევდნენ წინ ამხ. გ-ს რაზმის პარტიზანები. სახალხო შურისმგებლებმა 1.000 კილომეტრზე მეტი გზა გაიარეს საბჭოთა კარელიის ოკუპირებულ ნაწილში.

რაზმი 34 დღეს იყო განუწყვეტელ ბრძოლებში. ფინეთის სარდლობამ ფრონტიდან მოხსნა შუცკორელთა რჩეული ნაწილები და პარტიზანთა წინააღმდეგ გაჰგზავნა. მაგრამ ფინელთა გეგმა ჩაიშალა. ვერც ერთ შეტაკებაში ვერ მოიპოვეს მათ წარმატება. არასრული ცნობებით, სახალხო შურისმგებლებმა ერთი თვის ბრძოლებში 700-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს, რომელთა შორის 2 ფინელთა ბატალიონის მეთაური იყო. კიდევ უფრო მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაიჭრა.

პარტიზანებმა ხელთ იგდეს დიდი დავლა—დაზგისა და ხელის ტყვიამფრქვევები, ნაღმსატყორცნები, მათ შორის ბატალიონისა, ავტომატები, შაშხანები, გრანატები, საომარი მასალა, რადიოსადგური, სურსათი.

ხელში ჩაგდებულ იარაღსა და საომარ მასალას იქვე იყენებდნენ ბრძოლაში.

თავისი გმირობით ამ არაჩვეულებრივ ლაშქრობაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ტოივო ანტიკაინენის სახელობის ქვეგანაყოფმა და იმ ქვეგანაყოფებმა, რომლებსაც ამხ. გ. და შ. მეთაურობენ.

ნ. ბარანიკოვი

მტრის ვერაგობა

დასავლეთის ფრონტი, 3 სექტემბერი. (საკდესის სპეცკორესპონდენტისაგან). ზუბცოვის რაიონში წარმოებულ ერთ-ერთ უკანასკნელ ბრძოლაში თავი ისახელა უფროს ტექნიკოს ლეიტენანტ ბოშკოვის ტანკის ეკიპაჟმა. ტანკი სწრაფად შეიჭრა მტრის თავდაცვის სიღრმეში. ფაშისტებს რომ მოულოდნელად დაესხნენ თავს, მათ ხელები ასწიეს, რომლებშიც საბჭოთა საშვები ფურცლები ეკავათ. იმ დროს, როცა 4 მებრძოლისაგან შემდგარი დესანტი, რომელიც ტანკზე იჯდა, იარაღს აყრევინებდა ტყვეებს, ტანკისტები გაქცეულ ჰიტლერელებს უშენდნენ.

უეცრად ზარბაზანმა იმტყუნა. დაინახეს თუ არა, ტანკმა სროლა შესწყვიტაო, ის-ის იყო ტყვედ დანებებულმა ჰიტლერელებმა წინააღმდეგობის გაწევა გადასწყვიტეს. როცა ბოშკოვი მანქანიდან გამოვიდა, რათა ზარბაზნის ლულიდან ჭილხი გამოეგდო, მას გარს შემოერტყა 3 ოფიცერი. ერთმა მათგანმა უკვე დაუმიზნა ბოშკოვს პარაბელუმი, მაგრამ რევოლვერი არ გავარდა, ტანკის მექანიკოს-წამყვანმა, უფროსმა სერჟანტმა გრომოვმა ფაშისტს დაასწრო და ნაგანით მოჰკლა იგი. დანარჩენ ორს თვით ბოშკოვი გაუსწორდა.

როცა დაზიანება შეკეთებულ იქნა, ტანკმა გზა განაგრძო. ამ შეტაკებაში ჩვენმა ტანკისტებმა დაცხრილეს და გასრისეს მტრის 25-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

ე. კაპლანსკი

რუსეთის სფს რესპუბლიკის საპატიო წოდებათა მინიჭება სამედიცინო მეცნიერებათა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთათვის

სამედიცინო მეცნიერებათა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში გამოჩენილი დამსახურებისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რუსეთის სფს რესპუბლიკის მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიანიჭა სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორს, ქირურგს, პროფესორ მ. ნ. ახუტინს, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორს, ეპიდემიოლოგს, პროფესორ ს. ვ. ვისკოვსკის, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორს, თერაპევტს, პროფესორ ე. მ. გელშტეინს, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორს, ქირურგს, პროფესორ ნ. ნ. ელანსკის და სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორს, ქირურგს, პროფესორ პ. ა. კუპრიანოვს.

ექიმ დ. ს. სკრინიკოვს მიენიჭა რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი სააკაძე

დიდი ისტორიულ-პატრიოტული ფილმი

(საუბარი „გიორგი სააკაძის" დამდგმელ რეჟისორთან, სტალინური პრემიის ლაურეატ ამხ. მ. ჭიაურელთან)

ისტორიულ-პატრიოტული ფილმის „გიორგი სააკაძის" პირველი სერიის გადაღება დამთავრდა. ფილმი მზად არის სადემონსტრაციოდ.

გიორგი სააკაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კინოში ასახვას დიდი მნიშვნელობა აქვს. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვეცნობით ქართველი ხალხის ისტორიის ერთ მნიშვნელოვან ეპოქას, მაყურებელი ნახავს დიდი წინაპრის გიორგი სააკაძის მამაცურ სახეს, რომელიც, როგორც ალექსანდრე ნევსკი, დიმიტრი დონსკოი, მინინი და პოჟარსკი, სუვოროვი და კუტუზოვი, აღაფრთოვანებს ჩვენს სახელოვან მებრძოლებს საბოლოოდ გაანადგურონ ჰიტლერელ ყაჩაღთა, მკვლელთა და მძარცველთა ბრბო.

ამ ფილმის გადაღება სწარმოებდა სამამულო ომის პირობებში. ჩვენი კოლექტივი გაასკეცებული ენერგიით, ომის დროის ტემპებით მუშაობდა. მოკლე დროში შესრულდა რთული, უაღრესად პასუხსაგები გადაღება.

ფილმისათვის ა. ბალანჩივაძემ დასწერა მშვენიერი მუსიკა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ფილმში ასახულ ეპოქასთან. ეს მუსიკა, აგებული ნაციონალურ მელოდიებზე, მაღალი კულტურის მაჩვენებელია და სცილდება კინოს ფარგლებს.

ენერგიულ დახმარებას გვიწევდნენ გადაღების პროცესში სცენარის ავტორები ა. ანტონოვსკაია და ბ. ჩორნი, რომლებმაც სცენარის დაწერით არ ამოსწურეს თავისი მოვალეობა და მუშაობის დროს შეჰქონდათ საჭირო კორექტივები.

პატივისცემის ღირსია მეცნიერი კონსულტანტი პროფ. ბერძენიშვილი, რომელიც არ კმაყოფილდებოდა მეცნიერული კონსულტაციით, არამედ აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყოველდღიურ საქმიანობაში, პირადად სინჯავდა და ამოწმებდა ტანსაცმელს, რეკვიზიტს, ბუტაფორიას, რომ ყოველი წვრილმანი ნივთი შეეფერებოდეს ისტორიულ ეპოქას. პროფესორმა გიორგი სააკაძის დროის საქართველოსა და სპარსეთის შესახებ მრავალი საუბარი ჩაატარა ჩვენს კოლექტივში.

დიდი სიმძიმე დააწვა ფილმის წამყვან მსახიობს აკაკი ხორავას, რომელიც გიორგი სააკაძის როლს თამაშობს. ა. ხორავა დიდი მგზნებარებითა და სიყვარულით მოეკიდა ამ როლს და შექმნა სახელოვანი მებრძოლის, გმირის, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის მხატვრული სახე. სააკაძის მეუღლის რუსუდანის პატარა როლისათვის ვ. ანჯაფარიძემ მოსძებნა ახალი ფერები და წარმოგვიდგინა გმირული სახე ქართველი ქალისა.

საინტერესო სახეები შექმნეს ს. ზაქარიაძემ (შადიმანი), ა. ვასაძემ (შაჰ-აბასი), ს. ბალაშვილმა (ლუარსაბი), ლ. ასათიანმა (თეკლე) და სხვ.

სურათზე მუშაობისას გამოირკვა, რომ ჩვენს წინ დიდმა მასალამ მოიყარა თავი. საჭირო იყო გვეჩვენებინა იმდროინდელი საქართველო, სააკაძის ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისათვის. იმავე დროს ჩვენ უნდა გვეჩვენებინა გიორგი სააკაძის ცხოვრების მეორე ხანაც, რომელიც უფრო ფართო და მნიშვნელოვანია, რადგან ამ დროს გიორგი უკვე სახელგანთქმული სარდალი იყო. მისი სახელი მთელ მცირე აზიაში იყო ცნობილი. ამოდენა მასალის ერთ სერიაში ჩატევა შეუძლებელი გახდა. ამიტომ გადაწყდა მეორე სერიის გამოშვებაც. ამჟამად ჩვენი კოლექტივი განაგრძობს ფილმის „გიორგი სააკაძის" მეორე სერიის გადაღებას. ამ ორ სერიაში ჩვენი მიზანია ავსახოთ არა მარტო გიორგი სააკაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, არამედ ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლა თავისუფლებისათვის, სამშობლოსათვის. ამ გმირული წარსულის აღდგენას დღეს იმიტომაც აქვს უდიდესი მნიშვნელობა, რომ ჩვენი ხალხი მოძმე საბჭოთა ხალხებთან ერთად აღსდგა ვერაგი მტრის, მხეც ჰიტლერელთა ურდოების წინააღმდეგ და, ისე როგორც წარსულში ჩვენს ხალხს არაერთხელ გაუნადგურებია მტერი, ახლაც მთელი საბჭოთა ხალხი აღგვის პირისაგან მიწისა ჰიტლერელ კაციჭამიებს. ამ წმინდა ბრძოლაში ჩვენ გზას გვინათებენ ჩვენი სახელოვანი წინაპრები, რომელთა რიცხვს ეკუთვნის გიორგი სააკაძე.

სსრკ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი, ორდენოსანი აკაკი ხორავა გიორგი სააკაძის როლში

კოსტუმები ფილმში

გიორგი სააკაძის ტრაგიკული პიროვნება და იმდროინდელი საქართველო მრავალ შემოქმედს იზიდავდა. ისტორიული წყაროების გაცნობით ჩვენს თვალწინ მეტად კოლორიტული და შინაგანი წინააღმდეგობებით სავსე გმირები ისახებიან. რეჟისორ მ. ჭიაურელს თავიდანვე მონუმენტური სტილის ფილმი სურდა შეექმნა. მე, როგორც მხატვარს, დამევალა მოქმედ პირთა სახეების და ეპოქის შესაფერი კოსტუმების შექმნა.

გიორგი სააკაძის გარეგნობა ჩვენთვის უფრო ნათელი იყო. ეს სახე შესანიშნავი აქტიორული ოსტატობით წარმოადგინა აკაკი ხორავამ. უფრო რთული გამოსახატი გახდა შადიმანის სახე. ჩვენ არ გვინდოდა შადიმანი ტრადიციული ლამაზი არისტოკრატის გარეგნობით წარმომდგარიყო, თავისი ვერაგობა და გაიძვერობა დაეფარა ტრაფარეტული ღიმილით. იგი ჩემს ესკიზში ტანით ძლიერი, ცხოვრებაგამოვლილი კაცის სახით მქონდა წარმოდგენილი, არწივის პროფილი მტაცებლის გამომეტყველებას აძლევს. ხოლო ზეამართული ჭაღარა წარბები და წვრილი თვალები მის მზაკვრულ ფიქრებს გამოხატავენ. და ეს როლი მეტად კარგად, დამაჯერებლად განასახიერა მსახიობმა ს. ზაქარიაძემ.

ახლა, როცა უკვე დასრულებულ ფილმს ვუცქერი, ჩემში აღტაცებას იწვევს ეს გმირული ეპოპეა. ფილმი კიდევ უფრო ალაგზნებს მაყურებელს მუხანათ მტერთან საბრძოლველად. კინოფილმი „გიორგი სააკაძე" ნამდვილ დიდ პატრიოტულ ნაწარმოებად მიმაჩნია და, როგორც მისი შექმნის ერთი თანამონაწილე, მოუთმენლად ველი ხალხის შეფასებას.

თამარ აბაკელია
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

„გიორგი სააკაძე"

თბილისის კინოსტუდიამ უკვე დაამთავრა დიდი ისტორიული ფილმის „გიორგი სააკაძის" პირველი სერიის გადაღება. ფილმი დადგა სტალინური პრემიის ლაურეატმა მიხ. ჭიაურელმა. სცენარი ეკუთვნის სტალინური პრემიის ლაურეატს ა. ანტონოვსკაიას და ბ. ჩორნის. ფილმის სამეცნიერო კონსულტანტია პროფ. ნ. ბერძენიშვილი.

ფილმისათვის მუსიკა დასწერა ა. ბალანჩივაძემ. მხატვრობა ეკუთვნის მირზაშვილსა და გოცირიძეს, კოსტიუმების ესკიზები—თ. აბაკელიას.

ფილმის გადაღებაზე მუშაობდა კოლექტივი: რეჟისორები შ. გედევანიშვილი და ნ. სანოვი, მთავარი ოპერატორი ორდენოსანი დილმელოვი, ხმის ოპერატორები დოლიძე და ლომიძე, ასისტენტები მოშიაშვილი, ჟუჟუნაძე, ანჯაფარიძე და დოლენკო.

ფილმში თამაშობენ მსახიობები: ა. ხორავა (გ. სააკაძე), ვ. ანჯაფარიძე (რუსუდანი), ს. ზაქარიაძე (შადიმანი), ს. ბალაშვილი (ლუარსაბი), ა. ვასაძე (შაჰ-აბასი), ლიანა ასათიანი (თეკლე) და სხვ.

ქართულ ვარიანტთან ერთად კინოსტუდიამ დაამზადა ფილმის რუსული ვარიანტიც. რუსული ვარიანტის გახმოვანებაზე მიწვეული იყვნენ კაჩალოვი, კლიმოვი, სამოილოვი, ლიუბიმოვ-ლანსკოი, ბ. მეხხიშვილი და სხვ.



მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ს. ზაქარიაძე შადიმანის როლში

როგორ ვმუშაობდი მხატვრულ გაფორმებაზე

პატრიოტული ფილმის „გიორგი სააკაძის" მხატვრული გაფორმება რთული ამოცანაა მხატვრისათვის. საჭირო იყო ისტორიული მასალების გაცნობა. არა მარტო საქართველოს, არამედ აგრეთვე მეზობელი ქვეყნების ყოფაცხოვრებისა და კულტურის შესწავლა.

როგორც ვიცით, მე-17 საუკუნის საქართველოს შესახებ არ დაგვრჩენია ამომწურავი ისტორიული მასალები. ეს განსაკუთრებით შეეხება მატერიალური კულტურის ძეგლებს. ამიტომ იძულებული ვიყავით ბევრი რამ შეგვევსო წმინდა ლიტერატურული წყაროების საფუძველზე, ფილმის მეცნიერი კონსულტანტის პროფ. ნ. ბერძენიშვილის მითითებების მიხედვით. პროფ. ნ. ბერძენიშვილმა დიდი დახმარება გაგვიწია ძვირფასი რჩევის მოცემით და სამუზეუმო მასალების შერჩევით.

მიუხედავად ამისა, მუშაობის პროცესში ბევრი რამის შევსება მოგვიხდა საკუთარი ფანტაზიით, რასაკვირველია, ისე, რომ არ დარღვეულიყო ეპოქის საერთო სტილი. ასეა აღდგენილი საქართველოს და ირანის სასახლეები, მოედნები, პანორამები, რომლებიც მოცემულია რეალისტურ ტონებში.

გადამღები ჯგუფი მ. ჭიაურელის ხელმძღვანელობით მიზნად ისახავდა შეექმნა პატრიოტული ფილმი, რომელიც კიდევ უფრო ალაგზნებს მაყურებელს მხეც ჰიტლერელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

მხატვარი **მ. გოცირიძე**

ჩემი მუსიკა

კინოფილმის „გიორგი სააკაძის" მუსიკალურ გაფორმებაზე მუშაობის დროს მე საჭიროდ არ მიმაჩნდა ცალცალკე გამომესახა მთავარ მოქმედ პირთა თვისებები მათთვის დამახასიათებელი „ლეიტმოტივებით". მე მსურდა მუსიკალურად ამესახა მხოლოდ თვით სააკაძე და არა მარტო როგორც მამაცი, გაბედული და ჭკვიანი სარდალი, არამედ როგორც დიდი პატრიოტი, რომელიც თავისი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში სიცოცხლეს არ იშურებს, როგორც მოყვარული მეგობარი და მამა.

ფილმის შესავალში მე ვცდილობდი მეჩვენებინა გმირის ყველა თვისება სხვადასხვა მუსიკალური ეპიზოდების საშუალებით, რაც შემდგომ განვითარებისას გამოხატავს პიროვნების ტრაგიულ მდგომარეობას.

უვერტიურის ძირითადი მუსიკალური ინტონაციები შემდეგ ვრცელდება ფილმის ეპიზოდებში. ყველა მასობრივ სცენაში ძირითადად გამოვიყენე ხალხური სიმღერები, როგორც გადამუშავებული, ისე გადაუმუშავებელი. მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი მიმეცა მუსიკისათვის ღრმა აზრობრივი მნიშვნელობა.

ჩემს ამოცანას—შემექმნა მუსიკა, როგორც მთელი ფილმის განუყოფელი ორგანიული ნაწილი—მე მაშინ ჩავთვლი შესრულებულად, როცა მაყურებელი მიიღებს და მის მეხსიერებაში დარჩება ფილმის გმირის სახე მუსიკისაგან განუყოფლად.

ა. ბალანჩივაძე

სტალინური პრემიის ლაურეატი ს. ბალაშვილი მეფე ლუარსაბის როლში და ლიანა ასათიანი თეკლეს როლში

ქართველი ქალის სახე

რუსუდან სააკაძე ჭეშმარიტად დრამატიული სახეა. მასში უნდა მოსჩანდეს მორალური ძალა ქართველი ქალისა, რომელმაც განვლო სასტიკი გასაჭირი და უდიდესი წამება, წარ-

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. ანჯაფარიძე რუსუდანის როლში

მოშობილი მაშინდელი ეპოქის მოძალადეთა ბატონობით, და შეინარჩუნა თავისი სიწმინდე და ძლიერება. რუსუდანი მთელ გრძნობებს უმორჩილებს თავის დიდ სიყვარულს სამშობლოსადმი, ქმრისა და შვილებისადმი. სწორედ ამაშია მისი დიდი ზნეობრივი ზეგავლენითი ძალა.

ჩვენთვის, ხელოვნების მუშაკთათვის დიდად რთული, პასუხსაგები და საპატიო ამოცანა განვასახიეროთ დიდი ხასიათები წარსული დროის ადამიანთა, რომლებიც ასე ეხმაურებიან ჩვენი მკაცრი დღეების ადამიანებს, იმ ადამიანებს, რომლებიც, როგორც შორეულ წარსულში, თავდადებით სწირავენ სამშობლოს ყველაფერს, რაც აბადიათ. ჩემი ამოცანა იყო მთლიანად ამომეწურა რუსუდანის დრამა და შემექმნა თითქმის ეპიკური სახე ქალისა, რომელიც მუდამ იტანჯებოდა, მუდამ განიცდიდა კატასტროფას, რადგანაც იგი გამანადგურებელი სოციალური პირობების მსხვერპლი ხდებოდა!

ვ. ანჯაფარიძე
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

ხალხური კინო-ფილმი

ფილმი „გიორგი სააკაძე" ასახავს ჩვენი ხალხის ისტორიის იმ ტრაგიკულ პერიოდს, როცა საქართველოს არსებობის საკითხი სწყდებოდა. მტერი ჩვენი ქვეყნის შუაგულში იყო შემოჭრილი და ხალხს განადგურებას უქადდა. რამდენი უმანკო ბავშვისა და ქალის სისხლი დაღვარა შაჰ-აბასმა, რამდენი სოფელი გადასწვა, რამდენი ქალი და ვაჟი გაიტაცა მონებად. ქართველმა ხალხმა მოიგერია მტერი და შეინარჩუნა ფიზიკური არსებობა.

ამ ფილმს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ახლა, სამამულო ომის დღეებში. შაჰ-აბასის მხეცობა მკრთალად მოსჩანს იმასთან შედარებით, რასაც ჰიტლერელი ბარბაროსები სჩადიან ოკუპირებულ რაიონებში. საბჭოთა ხალხის შურისძიების გრძნობა დიდია და ეს ფილმი კიდევ უფრო გააძლიერებს ჩვენს მტკიცე გადაწყვეტილებას—ბოლომდე გავანადგუროთ ჰიტლერელთა ბანდები. ამაშია „გიორგი სააკაძის" უდიდესი მნიშვნელობა.

ამ დიდი პატრიოტული ფილმის დადგმა კარგად შეძლო მ. ჭიაურელს, რომლის შემოქმედების საწყისები ძირითადად მის ხალხურობაშია. მ. ჭიაურელი კარგად იცნობს კინემატოგრაფიას, მის თავისებურებასა და რთულ ტექნიკას. იმავე დროს იგი მდიდარი ფანტაზიისა და დიდი გაქანების შემოქმედია. მან გამიადვილა ამ ძნელი საქმის—სააკაძის სახის განხორციელება.

ფილმის გადამღებ კოლექტივს ერთი აზრი ასულდგმულებდა — შეექმნა ღირსეული პატრიოტული ფილმი, რომელიც გამოეხმაურებოდა ჩვენი ხალხის საბრძოლო განწყობილებას. ვიმედოვნებთ, რომ ფილმი ამ მიზანს აღწევს.

აკაკი ხორავა
სსრკ სახალხო არტისტი.

შაჰ-აბასის როლი

რეჟისორმა მ. ჭიაურელმა მნიშვნელოვანი ეპიზოდის შესრულება დამაკისრა. ჩემს ამოცანას ის გარემოება ართულებდა, რომ ერთ პატარა ეპიზოდში უნდა განსახიერებულიყო შაჰ-აბასი, გამჭრიახი პოლიტიკოსი, დიპლომატი, საშინელი დესპოტი, მრისხანე მმართველი, რომელიც არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა თავისი მიზნების მისაღწევად.

შაჰ-აბასი იმდენად ორიგინალური მოვლენაა ირანის ისტორიაში, რომ გარკვეული შტამპით მას ვერ განასახიერებ. ამიტომ მე მომეწონა რეჟისორის გააზრება შაჰ-აბასის გარეგნობის შესახებ, რაც ძველი ირანული ფრესკებიდან არის აღებული. ბევრი შრომა დამჭირდა, რომ შევჩვეოდი შაჰ-აბასის ასეთ სახეს.

მუშაობას დიდი რიდით შევუდექი და დიდი შემოქმედებითი სიხარული განვიცადე როგორც გადაღებისას, ისე მუშაობის დამთავრების შემდეგ, როცა დამდგმელთან ერთად მოსაზრებული და გულდასმით მუშაობის ნაყოფი ეკრანზე დავინახე.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი, ორდენოსანი აკაკი ვასაძე შაჰ-აბასის როლში.

საერთოდ ფილმი „გიორგი სააკაძე" ქართული კინოხელოვნების დიდი გამარჯვებაა. ამ ფილმში ჩვენი ხალხის კულტურა, ისტორიული წარსული ნაჩვენებია დამაჯერებლად, ინტერნაციონალურად. ფილმი გვიჩვენებს, რა თავდადებით იცავდა ხალხი თავის სამშობლოს გამხეცებულ მტრისაგან. ფილმი ეხმაურება ჩვენს პატრიოტულ გრძნობას და კიდევ უფრო ამრისხანებს ჩვენს სიძულვილს მტრისადმი, აასკეცებს ჩვენს საბრძოლო ნებისყოფას.

აკაკი ვასაძე
სსრკ სახალხო არტისტი

რუსთაველის თეატრის პრემიერა

შაბათს, 5 სექტემბერს, რუსთაველის თეატრი გვიჩვენებს სეზონის პირველ პრემიერას. წარმოდგენილ იქნება ლოპე დე ვეგას კომედია „სხვისთვის სულელი, თავისთვის ჭკვიანი". პიესა დადგა დ. ალექსიძემ. მხატვრობა—ვ. ვირსალაძისა, მუსიკა—რ. გაბიჩვაძისა. ცეკვები დადგა დ. მაჭავარიანმა. მთავარ როლს (დიანა) ასრულებს თ. ჭავჭავაძე. სპექტაკლში მონაწილეობენ: თ. ბაქრაძე (ტეოდორა), მ. ჯაჯანაშვილი (ფერიზა), მ. თბილელი (ლაურა), გ. დავითაშვილი (ალისანდრო), ე. აფხაიძე (ჯულიო), შ. აბესაძე (კამილო), ლ. ყაზაიშვილი (ფაბიო) და სხვ.

სპექტაკლის დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

ფიზკულტურის კომიტეტების თავმჯდომარეების რესპუბლიკური თათბირი

შესდგა ფიზკულტურის რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეების რესპუბლიკური თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ ქ. თბილისის ფიზკულტურის აქტივი და სპორტული ნებაყოფლობითი საზოგადოებების თავმჯდომარეები.

თათბირმა შეაჯამა საქართველოს ფიზკულტურის ორგანიზაციათა მიერ ფრონტის დასახმარებლად ჩატარებული მუშაობა და დასახა ღონისძიებანი ქალაქის მშრომელი მოსახლეობის შორის შემდგომი მუშაობის გასაუმჯობესებლად სპორტის სამხედრო სახეების დაუფლების ხაზით.

ლექცია

4 სექტემბერს, საღამოს 7 ს. 30 წ., საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ამხ. სულეიმანის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„სამამულო ომის მიმდინარე მომენტი".**

ბილეთების შეძენა შეიძლება საქალაქო აგიტპუნქტის ბიბლიოთეკაში.

თეატრებსა და დასასვენებელ პარკებში

საოპერა — 4 სექტემბერს — „ევგენი ონეგინი", 5 სექტემბერს — „ქეთო და კოტე", 6 სექტემბერს დღისით — „ევგენი ონეგინი". **რუსთაველის სახელობის** — 4 სექტემბერს — „კიკვიძე". **მარჯანიშვილის სახელობის** — 4 სექტემბერს — „გრიგალი", 5 სექტემბერს — „ხანუმა", 6 სექტემბერს დღისით — „გრიგალი". **მუსიკალური კომედიის** — 4 და 5 სექტემბერს — „არშინ-მალ-ალან", 6 სექტემბერს დღისით — „სილვა", **აზერბაიჯანული თეატრი** — 4 სექტემბერს — „ბახარ", 5 სექტემბერს — „ახალი ქიარიმ". **საქ. სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო ბაღი** — 4 სექტემბერს — მეჩონგურე ქალთა ანსამბლი ალექსანდრა ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით. **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი** — ყოველდღე — სასულე ორკესტრი, ცეკვა, საპარკო ატრაქციონი და სხვ.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ხულოს რაიკომი წინადადებას აძლევს ეენია ანტონის-ასულ შეწირულს და თინა ირაკლის-ასულ ჩხიკვიშვილს 5 სექტემბრამდე გამოცხადდნენ საქ. კ. პ. (ბ) ხულოს რაიკომში.

საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2857340, გაცემული გრიგოლ საბას-ძე ტაკიძის სახელზე, და პარტბილეთი № 4340363, გაცემული ნადეჟდა მაქსიმელის-ასულ ჟღენტის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2848071, გაცემული მამიკონა ავაქიას-ძე ავაქოვის სახელზე, და საქ. კ. პ. (ბ) წევრობის საკანდიდატო ბარათი № 2159504, გაცემული ალექსანდრე ილიას-ძე ალულიშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „მასკარადი", ოქტომბერი — „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ", დამკვრელი — „ზღვის ქორი", კომკავშირელი— — „მუსიკალური ისტორია", ლუქსემბურგის სახ. — „პეპო", სპარტაკი — „ბედნიერი ფინიში", კომინტერნი — „კონცერტი-ვალსი", 26 კომ. სახ. — „პატიმარნი", მეცნიერება და ცოდნა — „ამანგელდი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ინგლისის ავიაცია თავს დაესხა კარლსრუეს

ლონდონი, 3 სექტემბერი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 2 სექტემბერს ღამით ინგლისის ბომბდამშენთა დიდმა ძალებმა იერიში მიიტანეს ზემო რაინის ოლქზე. იერიშების მთავარი ობიექტი იყო კარლსრუე. ბევრგან აღნიშნულია მეტად დიდი ხანძარი.

კარლსრუე გერმანიის მნიშვნელოვან სარკინიგზო ცენტრს წარმოადგენს. აქ იყრებიან გზები, რომლებიც აკავშირებენ გერმანიის ჩრდილოეთს სამხრეთთან და დასავლეთს აღმოსავლეთთან. სამხრეთისაკენ მიმავალი გზა მომსახურებას უწევს მიუნხენსა და სამხრეთ გერმანიას, იგი აგრეთვე წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს გზას, რომლითაც საჭურველი რაინის ოლქიდან და რურიდან იტალიაში შეაქვთ. დასავლეთისაკენ მიმავალი გზა უერთდება საფრანგეთის სატრანსპორტო სისტემას. კარლსრუე წარმოადგენს არხების სისტემის ცენტრს და იქ მოთავსებულია დიდი დოკები. აქ არის აგრეთვე სამხედრო საწარმოები.

ინგლისში ჩავიდნენ კანადის ჯარები

ლონდონი, 3 სექტემბერი (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, ინგლისის ერთ-ერთ ნავსადგურში ჩამოვიდნენ კანადის ახალი ჯარები. ჩამოვიდნენ ჯავშანსატანკო ნაწილი, ავიაჯგუფები, დამხმარე ნაწილები და სანიტარული რაზმები.

საყოველთაო მობილიზაცია ბრაზილიაში

ნიუ-იორკი, 3 სექტემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ბრაზილიაში გამოიცა პრეზიდენტის დეკრეტი, რომელიც ითვალისწინებს სამხედრო ტრიბუნალების შექმნას ნაციონალური უშიშროების წინააღმდეგ დანაშაულობათა გასარჩევად. დეკრეტი აწესებს დაუყოვნებლივ საყოველთაო მობილიზაციას.

მდგომარეობა გერმანიაში

ნიუ-იორკი, 3 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, ბერლინიდან ჩამოსული პირები აცხადებენ, რომ გერმანიის მოსახლეობა ღრმად არის დამწუხრებული საომარი დროის ახალი ზამთრის შავბნელ პერსპექტივასთან და სასურსათო მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით. გერმანიის არმიის მიერ ახალი ტერიტორიების დაპყრობა მოსახლეობას არ ახარებს. ბევრი აცხადებს, რომ გერმანიის არმია შეიძლება შევადაროთ „ბუზს, რომელმაც წებოიანი ქაღალდის კიდევ ერთი კვადრატული დუიმი დაიკავა". სურსათის ნაკლებობა სულ უფრო მწვავე ხდება. პურისა და ცხიმეულობის გასაცემი ნორმა შემცირებულია. საკვების ნაკლებობის გამო მასობრივად ხოცავენ პირუტყვს. გამოლეულია მარცვლეულის ძველი მარაგი, რაც ბერლინის ახლოს ინახებოდა.

უნგრელი მმართველების შიში „შინაური ფრონტის" წინაშე

ლონდონი, 3 სექტემბერი (საკდესი). უნგრულმა გაზეთმა „რეგელი მადიარსაგმა" მოათავსა სტატია, რომელიც ამჟღავნებს უნგრეთის მმართველთა ხროვის შიშს უნგრეთში არსებული ზრდადი უკმაყოფილების წინაშე. გაზეთი აღიარებს, რომ „ომი სწარმოებს არა მარტო ბრძოლის ველებზე, არამედ შინაურ ფრონტზედაც" და რომ მთავრობის საწინააღმდეგო და ანტიგერმანული „ჩურჩულით პროპაგანდა", რასაც უნგრეთში ყველგან ეწევიან, განსაკუთრებით რიგებში, მადლიერ ნიადაგს პოულობს და მოსახლეობაც ღრმად ითვისებს მას.

„რამდენადაც ეს პროპაგანდა ძლიერდება,—ადასტურებს გაზეთი,—მით უფრო სუსტი ხდება ზურგისა და ფრონტის კავშირი, ასე რომ მძლავრი არმიაც კი რომ არსებობდეს, ჩვენი შინაგანი ძალა შეიძლება გატეხილ იქნას, როგორც 1918 წელს".

ინგლისში გაიმართა მიტინგები ევროპაში მეორე ფრონტის შექმნის სასარგებლოდ

ლონდონი, 3 სექტემბერი (საკდესი). 30 აგვისტოს ლონდონსა და ლონდონის რაიონში შესდგა 80 სხვადასხვა მიტინგი, რომლებსაც 30.000-ზე მეტი კაცი დაესწრო. მიტინგის მონაწილენი მოითხოვდნენ მეორე ფრონტის დაუყოვნებლივ შექმნას.

მანჩესტერში შესდგა დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 6.000 მუშამ. დემონსტრაციის შემდეგ გამართულ მიტინგზე ყველა ორატორი დაჟინებით მოითხოვდა მეორე ფრონტის გახსნას. ამ მოთხოვნას შეიცავს მიღებული რეზოლუციაც.

მიტინგები შესდგა აგრეთვე გლოსტერსა და ლუტონში (ბედფორდშირის საგრაფო).

მდგომარეობა ინდოეთში

ლონდონი, 3 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „ნიუს ქრონიკლის" კორესპონდენტი დელიდან გადმოგვცემს, რომ უკანასკნელ დროს ინდოეთში მომხდარ მღელვარებათა შედეგად დიდი ზარალი ნახა მთავრობის ქონებამ. ზარალს რამდენიმე მილიონ გირვანქა სტერლინგად ანგარიშობენ.

კორესპონდენტი იუწყება, რომ ინდოეთის სხვადასხვა კუთხეებში გრძელდება უკანონო კრებები და დემონსტრაციები, ხდება შეტაკება პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის, სწყდება მუშაობა სამრეწველო საწარმოებში, რომლებიც დაკავშირებული არიან სამხედრო მასალების წარმოებასთან, ადგილი აქვს საბოტაჟის აქტებს.

ნიუ-იორკი, 3 სექტემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ დელში ვრცელდება ფურცლები, რომლებიც საბოტაჟის აქტებისაკენ მოუწოდებენ.

მნახველის ნაამბობი გერმანიაში არსებული განწყობილების შესახებ

სტოკჰოლმი, 3 სექტემბერი (საკდესი). გაზეთმა „ნიუ დაგმა" გამოაქვეყნა იმ შვედის ნაამბობი, რომელიც შვეციაში ახლახან დაბრუნდა გერმანიაში ხანმოკლე ყოფნის შემდეგ. „გერმანელი ხალხი,—ამბობს დაბრუნებული,—გასაოცარ გულგრილობას იჩენს გერმანიის სარდლობის მკვეხარა ცნობებისადმი. მაგრამ თვით მოკლე ცნობაც კი გერმანიის ქალაქების დაბომბვის შესახებ მაშინვე გაცხოველებული დისკუსიის საგნად და სხვადასხვა ხმებისა და პესიმისტური პროგნოზების საბაბად იქცევა.

გერმანელი ხალხი დიდ შიშს განიცდის მეორე ფრონტის წინაშე. ამ შიშით გამოწვეული ნერვიულობა უკვე აღარ ექვემდებარება ოფიციალური პროპაგანდის ზეგავლენას, რომელიც, ხალხისათვის ყველა სიკეთის დაპირების ნაცვლად, ახლა გადავიდა შავბნელი მომავლის აღწერაზე. რაც გერმანიას პისი დამარცხების შემთხვევაში მოელის.

სასურსათო მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება. აგვისტოს დამდეგს ბერლინში სრულებით არ იყო ფქვილი. ბერლინისა და დასავლეთი გერმანიის მთელ რიგ ადგილებში მოედნებზე შეტაკებები მოხდა პოლიციასა და დიასახლისთა შორის.

გერმანიის არმიის ზარალის ოფიციალური ციფრების შესახებ აშკარა ზიზღით ლაპარაკობენ. გაძლიერდა ომის საწინააღმდეგო ბრძოლა დიდ საწარმოებში. ლაპარაკობენ ორი დიდი დივერსიული აქტის შესახებ რურის ქიმიურ ქარხნებში, აგრეთვე დივერსიის შესახებ ბოხუმის ნავთის ქარხნებში." დივერსიები მოხდა ალექსანდერპლაცისა და ანჰალტერბანჰოფის ვაგზლებში. ბერლინში ალბრეხტშტრასეზე ხანძარმა გაანადგურა ჩითეულობის დიდი საწყობები, ადლერსჰოფში აფეთქებულია რამდენიმე ვაგონი სამხედრო მასალით".

ორშაბათიდან, 7 სექტემბრიდან, კინოთეატრებში
რუსთაველის სახ., „ოქტომბერი" და ლუქსემბურგის სახ.
დიდი მხატვრული ისტორიული ფილმი
გიორგი სააკაძე
სტალინური პრემიის ლაურეატის ა. ანტონოვსკაიას და ბ. ჩორნის სცენარის მიხედვით.
დადგმა სტალინური პრემიის ლაურეატის ორდენოსან რეჟისორ მიხეილ ჭიაურელისა.
თბილისის კინოსტუდიის 1942 წლის ნაწარმოები.

№ ჰოსპიტალის ადგილკომი იუწყება, რომ 6/IX, 6 ს. ბათუმის ქ. № 16, დანიშნულია ჰოსპიტალის ფინგანყოფილების გამგის ალექსანდრე ჭილაძის ცოლისძმის
კუკური ამბაკოს-ძე კობალაძის
სამოქ. პანაშვიდი. 1096

თბილისის სახელმწიფო ფარმაცევტული ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ 6/IX, 6 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია პროფ. პ. ჟუმბურიძის მეუღლის
ლიუდმილა ჟუმბურიძის
სამოქ. პანაშვიდი. 1097

„ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია იუწყება ა. ჩაჩიძის მამის
თედორე ზაქარიას-ძე ჩაჩიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 5/IX, 7 საათზე, გამოსვენება 6/IX, 2 ს. ქალაქის მეორე (ყოფილი ალექსანდრეს) საავადმყოფოდან; დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

შრომის სასახლის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან გოგი მაჭავარიანის შვილის
პატარა ოთარიკოს
გარდაცვალებას. პანაშვიდი 4/IX, 7 ს. კალანდაძის ქ. № 16, დაკრძალვა 5/IX, 6½ ს. ვერის ძველ სასაფლაოზე. 1098